

სკოპინგის დასკვნა N10

საქმიანობის დასახელება: სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია;

საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „მშენებელი 77“;

საქმიანობის განხორციელების ადგილი: კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალაიანი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 15.03.2023;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“.

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „მშენებელი 77“-ის (ს/კ 405231547) მიერ, წარმოდგენილია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ალაიანში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შპს „მშენებელი 77“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია გათვალისწინებულია, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ალაიანის ტერიტორიაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 67.07.31.335). სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 680 მეტრში, თუმცა წარმოდგენილი კოორდინატებისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ელექტრონული გადამოწმებით, საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 200 მეტრში ფიქსირდება საცხოვრებელი სახლი, ასევე დაახლოებით 170 მეტრში მდებარეობს შენობა-ნაგებობა, რომლის ფუნქციური სტატუსი გზშ-ის ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას. გარდა ამისა, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვისას და საპროექტო ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ უახლოესი მოსახლე საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 85 მ-ით (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X - 461693.32; Y - 4641855.02). ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას და გზშ-ის ანგარიშში სათანადო ინფორმაციის ასახვას. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიის მომიჯნავედ გაედინება უსახელო არხი, ასევე 70 მეტრში მდებარეობს მშრალი უსახელო ხევი, ხოლო 960 მეტრში - მდ. ქსანი. საპროექტო ტერიტორიიდან, 75 მეტრის დაშორებით მდებარეობს საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი-სენაკი-ლესელიძის E60“ საავტომობილო გზა. საწარმოს ტერიტორიიდან 500 მ რადიუსში განთავსებულია: შპს „სტარტ აფ“, შპს „მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯიას“ საწარმოები.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია პროექტის განხორციელების ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი), ტექნოლოგიური და საწარმოს ადგილმდებარეობის ალტერნატივები. გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან შერჩეულ იქნა სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების სველი მეთოდის გამოყენებით, რაც შეამცირებს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას, საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტებიდან განხილულია ორი ალტერნატივა, კერძოდ: I. სოფ. ნიაბში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 67.01.50.143); II. სოფ. ალაიანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 67.07.31.335). სხვადასხვა კრიტერიუმების ერთმანეთთან შედარების, მათ შორის უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილისა და ნედლეულით საწარმოს მომარაგების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, შერჩეულ იქნა II ალტერნატივა (ს/კ 67.07.31.335).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს განთავსებისთვის შერჩეულ მიწის ნაკვეთზე, შპს „მშენებელი 77“-ის მიერ მის შეძენამდე, განთავსებული იყო სამსხვრევი დანადგარის ფუნდამენტები, რომელიც გამოყენებულია საწარმოსთვის, ასევე მცირე ზომის მობილური კოტეჯები, რომლის გამოყენება მოხდება საჭიროების შემთხვევაში (მაგ. მუშათა გამოსაცვლელი, სამზარეულო, სველი წერტილები და ა.შ).

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტექნოლოგიური ხაზი შედგება 4 ნაწილისგან: I ნაწილი მოიცავს - მიმწოდებელ ბუნკერს, პირველად დამხარისხებელს, პირველად ყბიან სამსხვრევს, ტრანსპორტიორს და გამანაწილებელს; II ნაწილი მოიცავს - 2 ერთეულ მშრალად დამხარისხებელს, 4 ერთეულ ტრანსპორტიორს, ყბიან სამსხვრევს, როტორულ სამსხვრევს; III ნაწილი მოიცავს - 9 ერთეულ ტრანსპორტიორს, 2 ერთეულ სარეცხ-დამხარისხებელს, ქვიშის სარეცხ-დამხარისხებელ ციკლონს, ყბიან სამსხვრევს და 2 ერთეულ როტორულ სამსხვრევს. IV ნაწილი მოიცავს საწარმოს ელექტრომართვის სისტემას. საპროექტო ტერიტორიაზე, ასევე გათვალისწინებულია საოპერატორო ოთახის მოწყობა, 50 მ³ მოცულობის მქონე წყლის სამარაგო რეზერვუარის განთავსება და ჩამდინარე (ტექნიკური) წყლის სალექარის მოწყობა, რომლის პარამეტრები იქნება: სიგრძე - 60 მ; სიგანე - 4 მ; სიღრმე - 3 მ.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმო იმუშავებს წელიწადში 240 დღე, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით. საწარმოს სამუშაო რეჟიმისა და სამსხვრევ-დამხარისხებელი ტექნოლოგიური ხაზის წარმადობის (60 ტ/სთ) გათვალისწინებით, ობიექტზე დაგეგმილია დღიურად 480 ტ და წელიწადში 115 200 ტ ინერტული მასალის სველი მეთოდით გადამუშავება. სამუშაო დღის განმავლობაში საწარმოში განხორციელდება 18 სატრანსპორტო ოპერაცია. ობიექტზე დასაქმებული იქნება 12 ადამიანი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ქვიშა-ხრემის გადამუშავების ტექნოლოგიური ციკლი მოიცავს საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეულის (ქვიშა-ხრემის ბალასტი) ავტოთვითმცლელელებით შემოზიდვას, მიმღებ ბუნკერში განთავსება და სველი მეთოდით ორმაგ მსხვრევას. ობიექტზე მიღებული ნედლეული თავდაპირველად გაივლის

მსხვილფრაქციულ (ყბებიან) სამსხვრევს, საიდანაც დამსხვრეული მასალა მიეწოდება პირველად სარეცხ-დამხარისხებელ დანადგარს, გარეცხვისა და დახარისხების მიზნით. შემდგომ გარეცხილი და დახარისხებული მასალა მიეწოდება ქვიშის ციკლონს და პირველ როტორულ სამსხვრევს. პირველი როტორული სამსხვრევიდან ტრანსპორტიორით დამუშავებული მასალა მიეწოდება მეორე სარეცხ-დამხარისხებელ დანადგარს, საიდანაც არასტანდარტული მასალა ტრანსპორტიორით მიეწოდება მეორე როტორულ სამსხვრევს. აღნიშნული სამსხვრევიდან დამუშავებული მასალა მიეწოდება მეორე სარეცხ-დამხარისხებელ დანადგარს, საიდანაც გარეცხილი მასალა ტრანსპორტიორის საშუალებით გადადის სასაწყობე ტერიტორიაზე. საპროექტო საწარმოს სასარგებლო წიაღისეულით მომარაგება დაგეგმილია, შპს „მშენებელი 77“-ის სალიცენზიო ობიექტიდან, რომელიც მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვარდისუბანში, საპროექტო ტერიტორიიდან 2,5 კმ-ის დაშორებით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო დანიშნულებით. სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის წყალი შემოტანილი იქნება ბუტილირებული სახით. სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის დღის განმავლობაში გამოსაყენებელი წყლის რაოდენობა იქნება - 0,54 მ³, ხოლო ტექნიკური დანიშნულებით გამოყენებული იქნება 480 მ³ წყალი. ტექნოლოგიურ პროცესში წყლის გამოყენება დაგეგმილია სველი მეთოდით სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების პროცესში და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის. ტექნიკური მიზნით წყალაღება გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გამავალი უსახელო არხიდან (წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები: X-461672; Y-4641669), წყალაღების წერტილში განთავსებული იქნება 60 ტ/სთ წარმადობის ტუმბო. მდინარიდან ამოღებული წყლის მიწოდება განხორციელდება პოლიეთილენის მილებით წყლის სამარაგო რეზერვუარში, საიდანაც მოხდება წყლის მიწოდება საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ტექნიკური მიზნებისთვის, საჭიროების შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა მიწისქვეშა ჭაბურღილი, რომლის GPS კოორდინატებია: X -461738; Y - 4641706.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყლის გაწმენდა გათვალისწინებულია 720 მ³ მოცულობის სალექარში, საიდანაც გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება უსახელო მშრალ არხში (X-461869; Y-4641798), რომელიც ემიჯნება საპროექტო ტერიტორიას. სალექარში დაგროვილი ქვიშა დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე და პერიოდულად მოხდება მისი რეალიზაცია. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვება გათვალისწინებულია საასენიზაციო ორმოში, რომლის დაცლა განხორციელდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, ასევე ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

პროექტის ფარგლებში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან და ხმაურის გავრცელებასთან.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ატმოსფერული ჰაერის ძირითად დამაბინძურებელს წყაროს წარმოადგენს არაორგანული მტვერი. ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში მტვერის გავრცელებას ადგილი ექნება წარმოების პროცესში და ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას (დღიურად 18 ოპერაცია). წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება მოხდება სველი მეთოდით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მტვერის გავრცელებას. **ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელი ზემოქმედების სათანადო შეფასებისა და ზემოქმედების მნიშვნელობის დადგენის მიზნით (მათ შორის უახლოესი დასახლების მიმართულებით), მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული იყოს საწარმოო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარის მიმართულებები.** ამასთან, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით დაიგეგმოს სათანადო ქმედითი და შემარბილებელი ღონისძიებები.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურისა და ვიბრაციის წარმომქმნელ ძირითად წყაროებს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. სკოპინგის ანგარიშში ხმაურის დონე გაანგარიშებულია საწარმოდან 680 მეტრში, სადაც ხმაურის დონე გაანგარიშების მიხედვით, არ აღემატება დასაშვებ ნორმებს (როგორც დღის, ისე ღამის საათებისათვის), თუმცა ობიექტის ტერიტორიიდან ფაქტობრივი მოსახლეობის (85 მ) სიახლოვის გათვალისწინებით, მოსალოდნელია ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება. აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს ვიბრაციის გავრცელების შეფასება, ასევე ხმაურის გავრცელების მოდელირება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით და ეფექტურობის დასაბუთებით.

საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად, დადგინდა, რომ საწარმოს სიახლოვეს მდებარეობს სხვადასხვა ტიპის საწარმოო ობიექტები, შესაბამისად **გზშ-ის ეტაპზე მნიშვნელოვანია კუმულაციური ზემოქმედება დეტალურად იქნეს შეფასებული, როგორც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების, ისე ხმაურის გავრცელებისა და სატრანსპორტო ოპერაციების ნაწილში.** ამასთან წარმოდგენილი უნდა იქნეს მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შემცირებისთვის გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტომ უზრუნველყო დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ხოლო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ საჯარო განხილვის შესახებ განცხადებები განთავსდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ამასთან, ინფორმაცია განთავსდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების

ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. ასევე, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთში. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 10 აპრილს, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ალაიანის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „მშენებელი 77“-ის, სკოპინგის ანგარიშის შემდგენელი კომპანიის - შპს „ეკომეტრის“, კასპის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან ძირითადი ყურადღება გამახვილდა ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკური წყლის აღების საკითხებზე. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

საჯარო განხილვის დასრულების შემდგომ, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ, მოხდა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება და გამოვლინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული იყო ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შემდგომი რეაგირების მიზნით გაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დაგეგმილი იქნა საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1 **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც**

მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.

4. გზმ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის წარმოდგენილი იქნეს უმოქმედობის (ნულოვანი), ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთების მითითებით. **საწარმოდან უახლოეს მოსახლემდე მანძილის გათვალისწინებით თუ საქმიანობის განხორციელება შერჩეულ ტერიტორიაზე არ იქნება სათანადოდ დასაბუთებული ატმოსფერულ ჰაერში მანვე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის გავრცელების აღკვეთის ნაწილში, განხილული უნდა იქნეს საწარმოს ალტერნატიულ ტერიტორიაზე განთავსების საკითხი;**
- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, ტექნოლოგიური სქემის და ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით (ნედლეულის მიღებიდან, საბოლოო პროდუქტის რეალიზაციამდე);
- საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით;
- საწარმოს განთავსების ადგილის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერა-ანალიზი;
- საწარმოო ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით, ფოტო მასალა) და საწარმოს გენერალური გეგმა (რომელიც უნდა იძლეოდეს საწარმოსა და მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღქმის/გაანალიზების შესაძლებლობას) შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით, საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების, ასევე გაფრქვევისა და ხმაურის წყაროების მითითებით;
- დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლის და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტამდე;
- ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის დაგეგმილი საქმიანობის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილებისა და საქმიანობის პროფილის მითითებით);
- ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია საპროექტო ტექნოლოგიური ხაზის საპროექტო წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს

დეტალური ინფორმაცია საწარმოში მიღებული ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის კონკრეტული რაოდენობების შესახებ;

- ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარებისა და ტექნოლოგიური უბნების დეტალური აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის ტექნიკური პარამეტრებისა მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია სასაწყობე ადგილების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია დასამუშავებლად მისაღები ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის შესახებ;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია:
 - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით), ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკის და ნედლეულის/პროდუქციის შემოტანა-გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით;
 - დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობების შესახებ, მაგ: დაბალი სიჩქარე, სამოძრაო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა;
 - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ავტოტრანსპორტის შესახებ, რაოდენობის მითითებით;
 - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სქემასა და გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით შესაბამის მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
 - ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზ(ებ)ის შესახებ.
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს წყალმომარაგების შესახებ. მათ შორის, სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური/საწარმოო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობის მითითებით;
- დაზუსტებული ინფორმაცია არტეზიული ჭიდან წყლის მოპოვების შესახებ (ჭაბურღილის ადგილმდებარეობის, პარამეტრებისა და აღებული წყლის რაოდენობის მითითებით). ჭაბურღილის გამოყენების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს სალიცენზიო ობიექტით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო ჩამდინარე წყლების, ასევე სანიაღვრე წყლების წარმოქმნისა და მართვის შესახებ. ასევე, დეტალური ინფორმაცია სალექარის შესახებ, ტექნოლოგიური სქემის, პარამეტრებისა და გაწმენდის ეფექტურობის მითითებით. გარდა, ამისა წარმოდგენილი უნდა იქნეს საწარმოო ჩამდინარე წყლების მიმღებ ობიექტში (მშრალი არხის) არსებული წყლის რაოდენობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ინფორმაცია სალექარში წარმოქმნილი შლამის მართვის საკითხების შესახებ. მათ შორის დაზუსტებული ინფორმაცია: წარმოქმნილი შლამის რაოდენობის; შლამისგან სალექარის გაწმენდის პერიოდულობის; დროებითი/საბოლოო დასაწყობების ტერიტორიის შესახებ;

- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ (უახლოესი საცხოვრებელი სახლის მიმართულებით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასებისთვის);
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მისი მოწყობის შესაძლებლობის შესახებ;
- არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ობიექტის ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებების გეგმა;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია დასაქმებული ადამიანების რაოდენობის (მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივ მოსახლეთა წილის), პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ.

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- საწარმოს საქმიანობის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში, გაფრქვევათა რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები;
 - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები;
 - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა;
- გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- პროექტის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით), ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- მოსალოდნელი ნარჩენების სახეობების, რაოდენობის, სახიფათოობის მახასიათებლების შესახებ მონაცემები და შემდგომი მართვის ღონისძიებები, ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია პროექტის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული უნდა იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის. ამასთან მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს სატრანსპორტო ოპერაციებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება/ანალიზი;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება (რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში);
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);

- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში:

- გზმ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ყველა შესაძლო დაბინძურების შემარბილებელი ღონისძიებები მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 680 მეტრში, თუმცა წარმოდგენილი კოორდინატების ელექტრონული გადამოწმებით, საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 200 მეტრში ფიქსირდება საცხოვრებელი სახლი, ასევე დაახლოებით 170 მეტრში მდებარეობს შენობა-ნაგებობა, რომლის ფუნქციური სტატუსი გზმ-ის ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას; გარდა ამისა, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვისას და საპროექტო ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ უახლოესი მოსახლე საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 85 მ-ით (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X - 461693.32; Y - 4641855.02). ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას და გზმ-ის ანგარიშში სათანადო ინფორმაციის ასახვას. ამასთან, უახლოესი საცხოვრებელი სახლის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება და საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია საწარმოს ექსპლუატაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ნაწილი, რაც დადასტურდა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერებისას. გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატების გადამოწმების შედეგად, დადგინდა რომ საპროექტო ტერიტორიიდან, დაახლოებით 200 მეტრის დაშორებით მდებარეობს შპს „მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯიას“ (ს/კ 67.07.31.051) საწარმო, რაც საჭიროებს დაზუსტებას. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არსებული საწარმოს ობიექტების პროფილის გათვალისწინებით, დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული კუმულაციური ზემოქმედება, განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის გავრცელების ნაწილში;
- გზმ-ის ანგარიშში სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული უსახელო არხიდან ტექნიკური დანიშნულებით წყლის აღების მიზანშეწონილობა, უსახელო არხის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოს ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ ინფორმაცია;

- ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საერთაშორისო მნიშვნელობის “თბილისი-სენაკი-ლესელიძის E60” საავტომობილო გზის სიახლოვეს, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პოზიცია და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნებისა და საკითხების გათვალისწინებით.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „მშენებელი 77“-ის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ალაიანში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოპოვებული, შესწავლილი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით.**